საქართველოს პარლამენტის
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომის
ოქმი N12

ამონაწერი

სხდომას უძღვებოდა კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძე. სხდომას ესწრებოდნენ კომიტეტის წევრები: ქანთარია ალექსანდრე, ჩაფიძე ელისო, ჭკუასელი თეიმურაზი, ჯაფარიძე თამაზი, პაპუაშვილი ზაზა, ქავთარაძე გიორგი, წერეთელი მალხაზი (საყვარელიძე ფრიდონი -უფლებამონაცვლე), რატიანი სერგო, ლონდარიძე ტარიელი, მახარაძე მიხეილი, მეგრელიძე ომარი, კაჭახაძე მერაბი (ბუკია გიგა - უფლებამონაცვლე), კანდელაკი გიორგი (ვაშაძე გიორგი - უფლებამონაცვლე) , პარლამენტის წევრი თინათინ ხიდაშელი, გაზეთ „რეზონანსი"-ს მთავარი რედაქტორი ლაშა ტულუში.

დღის წესრიგი

1. მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" (N23/2; 28.2012) განხილვა კომიტეტის მიერ.

(ელისო ჩაფიძე - განათლების, მეცნიერებისა და კულტურის
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე)

1.მოისმინეს კომიტეტის წევრის ელისო ჩაფიძის მოხსენება წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადების „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე". მომხსენებელმა განმარტა, რომ კანონპროექტის მიღების მთავარი მიზანია მედიის გათავისუფლება პოლიტიკური გავლენისაგან და მედიასაშუალებების დაფინანსების გამჭვირვალობა. ასევე სამეურვეო საბჭოს ეფექტიანობის გასაზრდელად აუცილებელია ფორმირებისა და პასუხისმგებლობის წესების შეცვლა. სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა მცირდება 9 წევრამდე. საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატებს კი საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად, შეარჩევს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ყოველი კონკურსისათვის საგანგებოდ დარგის სპეციალისტებისაგან შექმნილი კომისია.

„მაუწყებლობის შესახებ" კანონს ასევე ემატება თავი სახელწოდებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი მაუწყებელი", რომელიც აწესრიგებს

აჭარის რესპუბლიკის საზოგადოებრივი მაუწყებლის, მისი ხელმძღვანელი ორგანოების ფორმირების და საქმიანობის წესებს.

წარმოდგენილი წინადადების გარშემო გაიმართა მსჯელობა და დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გაზეთ „რეზონანსი"-ს მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა, კომიტეტის წევრებმა: ელისო ჩაფიძემ , თეიმურაზ ჭკუასელმა, სერგო რატიანმა, გიორგი კანდელაკმა, ალექსანდრე ქანთარიამ, ზაზა პაპუაშვილმა.

კომიტეტმა გადაწყვიტა:

კომიტეტმა, 7 მომხრე, 2 წინააღმდეგი და 1-მა თავი შეიკავა, მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკანონდებლო წინადადების მიღებას კომიტეტის მიერ განსახილველად.

მომხრე - 7

წინააღმდეგი-2

თავი შეიკავა-1

სხდომის თავმჯდომარე ი. კილურაძე ივანე კილურაძე

სხდომის მდივანი ლ. ლორია ლალი ლორია